ხელშეკრულება N14

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 19 მაისი 2023 წელი

ერთი მხრივ, ა.(ა).ი.პ. ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება", წარმოდგენილი დირექტორის ემილია გაბრიაძე-კაკაბაძეს სახით და მეორეს მხრივ ი.მ.,,მადონა ვერულაშვილი" წარმოდგენილი მადონა ვერულაშვილის სახით, შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც ,,მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც ,,მხარეები", ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის <u>ობიექტი</u>: ძირითადი არაორგანული და ორგანული ქიმიკატები: ნატრიუმის კარბონატი (**CPV 24300000;** 24313320)- **36.40** (ოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი;

ავეჯის აქსესუარები: ღრუბლები; ცოცხები და ჯაგრისები და სხვა საოჯახო საწმენდი საშუალებები; (**CPV 39200000**: 39224320; 39224300)-**126.90** (ასოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდაათი) ლარი;

საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია: ცხიმის დამშლელები; ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; ტუალეტის საწმენდები; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები; ფხვნილები (**CPV 39800000:** 39831230; 39832000; 39831600; 39820000; 39831200)- **1060.80** (ათასსამოცი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი;

პირადი ჰიგიენის საშუალებები: საპონი; ტუალეტის ქაღალდი (**CPV 33700000:** 33711900; 33761000)- **551.10** (ხუთასორმოცდათერთმეტი ლარი და ათი თეთრი) ლარი.

სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები: ხელთათმანები (**CPV 18400000:**18424000)-**142.40** (ასორმოცდაორი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

ქსოვილის ნივთები:საწმენდი ტილოები **(CPV 39500000:** 39525800)- **302.40** (სამასორი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2220.00 (ორიათასორასოცი ლარი და 0 თეთრი) ლარი.**

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

Emilia Gabriadze-kakabadze Digitally signed by Emilia Gabriadze-kakabadze Date: 2023.05.19 12:04:28

გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული შესაბამისი სასაქონლო ზედდებულის ან ანგარიშ-ფაქტურის ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ა.(ა).ი.პ.,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორი ან გერთიანებაში შემავალი ბაგა-ბაღების ადმინისტრაციის უფროსები (დანართი 1)

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე - ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი #3.
5.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **2023 წლის 19 მაისიდან 2023 წლის 31 მაისის ჩათვლით.**

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის

Emilia Gabriadze- Digitally signed by Emilia Gabriadze-kakabadze

შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის - **2023 წლის 19 მაისიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივნისის ჩათვლით.**

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა.ა.ი.პ.ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება ს/კოდი 219638024 მისამართი: კარლო ლომაძის მოედანი 3 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში TRESGE22	ი.მ. ,,მადონა ვერულაშვილი " ტყიბული. გელათის ქ.#10 ს/კ 41001003411 მომსახურე ბანკი:ლიბერთი ბანკი ა.ა. GE23LB0112119503749000 LBRTGE22.

Emilia Gabriadze-kakabadze 41001009187
Digitally signed by Emilia Gabriadze-kakabadze
Date: 2023.05.19 12:06:00

Madona Verulashvili 41001003411
Digitally signed by Madona Verulashvili
Date: 2023.05.19 17:01:53